



ბიოქიმიის დეპარტამენტი




პროფესორი კაკა თუშურაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ნესტან ბერკვილაძე



ასოცირებული პროფესორი ეკა ეკალაძე




ასისტენტ-პროფესორი მანანა კაკავა



ბიოქიმიის დეპარტამენტი



ასისტენტ-პროფესორი ნათია ჯახუთაშვილი



ასისტენტ-პროფესორი ელენე ნინილაშვილი



ასისტენტ-პროფესორი გია ბურჯანაძე



ბიოქიმიის დეპარტამენტი



ბიოქიმიის დეპარტამენტი შეიქმნა 1919 წელს “ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის” სახელწოდებით. კათედრის პირველი გამგე იყო პროფესორი ა. მალენიუკი. 1921-1927 წლებში კათედრას განაგებდა პეტრე მელიქიშვილი, ხოლო 1927-1931 წლებში – პროფესორი იოველ ქუთათელაძე. 1930 წელს კათედრას ეწოდა “ ბიოლოგიური ქიმიის კათედრა”, ხოლო 1944 წელს – “ სამედიცინო ქიმიის კათედრა.” კათედრას ხელმძღვანელობდნენ: მ.მ.დ. ვასილ ვარაზი (1931-1969), პროფესორი ელენე ქუთათელაძე (1969-1985), პროფესორი ლეილა ტყეშელაშვილი (1985-1995), პროფესორი ეკა რაფავა (1995-2006). 2006 წლიდან დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი პაატა თუშურაშვილი.

დეპარტამენტში ისწავლება ბიოქიმიის კურსი ფარმაციის, მედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. კურსის სწავლების დროს გათვალისწინებულია, როგორც თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკა, ასევე საერთო თემატიკა - მეტაბოლური გზების ორგანიზებისა და რეგულაციის პრინციპები. ბიოქიმიის კურსი დაფუძნებულია თ. დევლინის სახელმძღვანელოზე "ბიოქიმია კლინიკური კორელაციებით", რომელიც ითარგმნა ბიოქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით.

სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით დეპარტამენტის ინტერესის სფეროს შეადგენს მეტალების ჰომეოსტაზი და მეტალების მონაწილეობა დამცველობით სისტემებში, ასევე ნაწლავის ფიზიოლოგიური მოდელის შექმნა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება in vivo მიმდინარე პროცესების შესწავლა რეალურ დროში, თანამედროვე LIFE (Laser Induced Fluorescence) - ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია უჯრედის მემბრანების სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა ტრანსპორტირების პროცესში, ცალკეული მეტაბოლიტების in vivo კონცენტრაციისა და ფერმენტების აქტივობის დადგენა, ცილოვანი კომპლექსების წარმოქმნის და დაშლის, ნაშლების მეტაბოლიზმისა და მოქმედების მექანიზმების შესწავლა და ა.შ.